



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო
პროგრამა

ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი(ებ)ი
24/02/2020

დასკვნის წარდგენის თარიღი
20/03/2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	445434888
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	მედიცინა
განათლების საფეხური	მე-7 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია მისი კოდის მითითებით	დიპლომირებული მედიკოსი, 0912
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	360 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი მაჰმუდ ჰაფეზი, პროფესორი და ორთოპედული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, 6 ოქტომბრის უნივერსიტეტი, კაირო, ეგვიპტე. კონსულტანტი, ორთოპედიის ქირურგი, ჯანდაცვის ეროვნული სამსახური, დიდი ბრიტანეთი მოწვეული პროფესორი, კარდიფის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი ხათუნა საგანელიძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი ივანე აბიათარი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მარიამ აბულაძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი მსურველებს სთავაზობს „მედიცინის“ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას. უნივერსიტეტში განთავსებულია „ანატომიის თეატრი“, გვამების ანატომიური ლაბორატორია, ჰისტოლოგიის, მიკრობიოლოგიის, მოლეკულური გენეტიკისა და ბიოქიმიის სწავლების ლაბორატორიები და „კლინიკური უნარების“ ცენტრი. სწავლების პროცესი წარიმართება ბაჩესეჰირის (სტამბოლის) უნივერსიტეტთან პარტნიორობით.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტების თეორიული ცოდნით აღჭურვა, აგრეთვე კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარება, რაც მათ მოამზადებს მომავალი სამედიცინო კარიერისთვის. საგანმანათლებლო პროგრამა ექვსი წლის განმავლობაში გრძელდება და იძლევა დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაციას.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა 23 თებერვალს, აფილირებულ საავადმყოფოში ვიზიტითა და ობიექტების შეფასებით.

ექსპერტთა ყველა წევრი დაესწრო უნივერსიტეტის აკრედიტაციის ვიზიტს 2020 წლის 24 თებერვალს, დილის 10 საათიდან საღამოს 6:30 საათამდე. ჯგუფს თან ახლდა აკადემიური პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი, ბატონი ლაშა მაჭარაშვილი.

ამ ვიზიტის დროს გვექონდა:

- 1- შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და რექტორთან;
- 2- შეხვედრა თვითშეფასების ჯგუფთან (ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, სტუდენტთა დახმარების სამსახური, საერთაშორისო მარკეტინგი და იურისტი);
- 3- შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან;
- 4- შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან (პროფესორთა ჯგუფი, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორები);
- 5- შეხვედრა მოწვეულ პერსონალთან;
- 6- შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან და ასისტენტთან;
- 7- შეხვედრა დამსაქმებლებთან;
- 8- შეხვედრა სხვადასხვა საფეხურის (1-დან 5-მდე) სტუდენტების (საქართველოდან, სირიიდან, თურქეთიდან, ეგვიპტიდან, ავღანეთიდან და ქურთისტანიდან) ჯგუფთან.
- 9- დასასრულს, მე წარმოვადგინე აკრედიტაციის ვიზიტის ძირითადი დასკვნები, რომელსაც თან ერთვოდა დადებითი მოვლენების შეჯამება და გაუმჯობესების გზები.

ეს არის დადებითი მიგნებების შეჯამება:

- გაირკვა, რომ სამედიცინო სკოლა ახალ ადგილას გადავიდა რამდენიმე თვის წინ (2019 წლის ნოემბერი) და ახლა ის აფილირებულია ახლომდებარე საავადმყოფოსთან. პირადად ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რომ სასწავლებელმა მოახერხა ახალ ადგილზე განთავსება, მიუხედავად მცირე დროისა გადასვლასა და აკრედიტაციის ვიზიტს შორის. ახალი ადგილმდებარეობა არის საკმაოდ კარგი. მას აქვს კამპუსი თავისუფალი სივრცეებით, ბაღებითა და შემდგომი გაფართოების პოტენციალით. მას ასევე აქვს საჭირო ობიექტები მედიცინის პროგრამის განსახორციელებლად. ჩვენ ვნახეთ კარგი ინფრასტრუქტურა და ისეთი ობიექტები, როგორცაა გვამების ლაბორატორია. ლაბორატორიაში იყო გვამი და

გაკვეთისა და დემონსტრაციის კარგი შესაძლებლობა. ასევე დავათვალიერეთ შემდეგი სპეციალობებისთვის განკუთვნილი კეთილმოწყობილი ლაბორატორიები: ჰისტოლოგია, ბიოქიმია, მიკრობიოლოგია და პათოლოგია. აქვე იყო კლინიკური გამოკვლევებისთვის გამიზნული რამდენიმე მოდელი. დავათვალიერეთ კარგად აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სადაც იყო სხვადასხვა სპეციალობებისთვის განკუთვნილი ახალი სახელმძღვანელოები და რამდენიმე კომპიუტერი. ასევე გვითხრეს, რომ თურქეთში არის ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომელიც დაკავშირებულია ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტთან. აქვე იყო საგამოცდო დარბაზი რამდენიმე კომპიუტერული დისკით (>30), ხოლო პერსონალური კომპიუტერი დაცული იყო უნიკალური საშუალებით, რამაც ჩვენზე შთამბეჭდილება მოახდინა. ჩვენ შევხვდით აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. ყველა მათგანი კმაყოფილი იყო დასაქმების პირობებითა და ხელფასებით. მათ ასევე დატოვეს პატრიოტი ადამიანების შთაბეჭდილება. სტუდენტებიც კმაყოფილები იყვნენ.

ეს არის გაუმჯობესების შესაძლებლობების შეჯამება:

ჩვენ შევამჩნიეთ, რომ სკოლას ჰყავს სტუდენტთა მცირე რაოდენობა (<100) და მე-5 დონეზე მხოლოდ 2 სტუდენტი სწავლობს, ხოლო მე-6 დონეზე არც ერთი. ეს რეალობა რამდენიმე წელია არსებობს, მიუხედავად ამ უნივერსიტეტის ობიექტებისა და პოტენციალისა. აუხსნელია, რატომ ვერ ხერხდება მეტი სტუდენტის მოზიდვა. დეკანს არ აქვს სამედიცინო განათლება, ის ბიოლოგია. მიუხედავად იმისა, რომ ის არის ძალიან აქტიური, გამოცდილი აკადემიკოსი, უკეთესი იქნებოდა სასწავლებელს ჰყოლოდა დეკანი სამედიცინო კვალიფიკაციით. კლინიკური პერსონალის რაოდენობა საკმაოდ მცირეა, მაგრამამის ასახსნელად არსებობს დამაჯერებელი მიზეზი, რომ მე-5 საფეხურზე არის 2 სტუდენტი, ხოლო მე-6 საფეხურზე - არცერთი. ეს მაჩვენებელი უნდა გაიზარდოს მომდევნო წლებში. უნივერსიტეტი საკმაოდ მოშორებით არის ქალაქის ცენტრიდან და იმ სტუდენტების საცხოვრებლებიდან, რომლებიც უნივერსიტეტის ძველ ტერიტორიასთან ახლოს ცხოვრობენ. სტუდენტებისთვის პრობლემას წარმოადგენს, ასევე, საჭირო პროდუქტისშემენა, როგორცაა სასმელი წყალი, როდესაც სწავლება გვიან საღამოს სრულდება და მაღაზიები დაკეტილია. კარგი იქნება, რომ მომავალში უნივერსიტეტს ჰქონდეს თავისი საავადმყოფო და არ იყოს აფილირებული სხვადასხვა საავადმყოფოსთან. სტუდენტებმა მოითხოვეს, რომ უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორებს შორის ყოფლიყვნენ მოწვეული უცხოელი რეპეტიტორები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
 - პროგრამა მეტწილად შეესაბამება ხუთივე სტანდარტს. სხვადასხვა სტანდარტის შეფასების ქულები მერყეობს „სრულად შესაბამისსა“ და „ნაწილობრივ შესაბამისს“ შორის.
- **რეკომენდაციების რეზიუმე**
 - რეკომენდაციები ჩამოთვლილია თითოეული სტანდარტის ქვემოთ.
- **რჩევების რეზიუმე**
 - რჩევები ჩამოთვლილია თითოეული სტანდარტის ქვემოთ.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (თუ ასეთი არსებობს)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები განსაზღვრავს იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებში. ისინი, ასევე, ასახავენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილ წვლილს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა მიზნად ისახავს კვალიფიცირებული ექიმის მომზადებას, რომელსაც ექნება ღრმა თეორიული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მეცნიერული ცოდნა, კლინიკური უნარები, ინოვაციური ტექნოლოგიისა და ლიბერალური ფასეულობების გამოყენების უნარი, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. უფრო მეტიც, ის მიზნად ისახავს პროფესიული ეთიკური ფასეულობებისა და კვლევის უნარების ჩამოყალიბებას. პროგრამა ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა ინტეგრაციას მსოფლიო საგანმანათლებლო და ჯანდაცვის საზოგადოებებში. რამდენადაც „ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მისიაა საერთაშორისო სტანდარტების საგანმანათლებლო პოლიტიკა, ასევე, მაღალკვალიფიცირებული პერსონალის მომზადება, რომელსაც ექნება სამეცნიერო ხედვა და ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ლიბერალური ფასეულობების ცოდნა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან. საზოგადოებაში შეტანილი წვლილის ილუსტრირება ხდება მომავალ ექიმებში პროფესიული ეთიკური ღირებულებების, კვლევითი უნარებისა და ცოდნის განახლების უნარის განვითარებით. პროგრამის შემუშავებისას, სასწავლებელმა გაითვალისწინა ადგილობრივი შრომითი ბაზრის მოთხოვნები და ასახა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხი. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა შეესაბამება

თურქეთის სამედიცინო განათლების სტანდარტს, განსაკუთრებით პარტნიორი უნივერსიტეტის - ბაუ სტამბოლის უნივერსიტეტის სასწავლო გეგმას, რომელიც აადვლებს გაცვლით პროცესს ამ ორ სასწავლებელს შორის.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა პრიორიტეტულია „ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის“, რომელიც არის საგანმანათლებლო ქსელის „ბაუ გლობალის“ წევრი. უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტებისა და პერსონალის მობილობას, არის ჩართული ერთობლივი პროექტის შემუშავებაში, რაც დასტურდება „ერაზმუს+“ (Erasmus+) პროექტით, სადაც უნივერსიტეტი პროექტის კოორდინატორია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის მიზნები, მისია
- დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- ვებ-საიტი
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ შეესაბამება მოთხოვნებს

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს და/ან პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შეგრძნებას, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამამ ბოლოს აკრედიტაცია გაიარა 2015 წელს. მას შემდეგ, მრავალი ცვლილება განხორციელდა, რომ უზრუნველყოფილიყო საერთაშორისო სტანდარტებთან და

სამედიცინო სფეროს ახალ დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობა. უფრო კონკრეტულად, შეიცვალა კრედიტების განაწილება, სწავლების მეთოდოლოგია, სწავლის შედეგები და შეფასება. ამ ეტაპზე, ექსპერტებისთვის ძნელია ამ ცვლილებების შედეგების შეფასება, რადგანაც ბოლო დროს დაინერგა ახალი შეფასების სისტემა (პორტფოლიოები, OSCE-სისტემა და ა.შ.) და სწავლების მეთოდოლოგია. ასევე ძნელია ვიმსჯელოთ ახალი პროგრამის ეფექტურობის შესახებ სტუდენტების სიმცირის გამო. რამდენიმე სტუდენტი სწავლების კლინიკურ კომპონენტში, ხოლო მხოლოდ 2 - უმაღლეს (X) სემესტრში. გარდა ამისა, უნივერსიტეტს ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებულები. ამრიგად, ძნელია შეაფასდეს, თუ რამდენად წარმატებით მიიღწევა პროგრამის შედეგები.

სწავლის შედეგები, ზოგადი და სპეციფიკური კომპეტენციები თანხვედრაშია უმაღლესი განათლების შესაბამის მედიცინის დარგობრივ მახასიათებლებთან და შემდეგი სახისაა:

1. განსაზღვრავს (აღწერს) ადამიანის სხეულის ნორმალურ სტრუქტურასა და ფუნქციონირებას მოლეკულურიდან სისტემურ დონემდე, დაავადებების ცვლილებების მიზეზებსა და მექანიზმებს, ადამიანის სხეულის სტრუქტურასა და ფუნქციონირებას მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის მიხედვით;
2. აფასებს კლინიკურ პრეზენტაციებს, ნიშნავს გამოკვლევებს, ჩამოთვლის საზოგადოებაში გავრცელებულ დაავადებებს, განმარტავს ამ დაავადებების კლინიკურ, ლაბორატორიულ და რადიოლოგიურ მაჩვენებლებს და აკეთებს დიფერენცირებულ დიაგნოზს, ჩამოთვლის ყველაზე ეფექტურ სამკურნალო საშუალებებს მეცნიერულ მონაცემებზე დაყრდნობით, ირჩევს მათგან საუკეთესოს და ნიშნავს მედიკამენტებს;
3. აქვს ცოდნა დიაგნოზირებისთვის, სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების/მდგომარეობების წინასწარი მკურნალობისთვის, აქვს პირველადი დახმარებისა და ხელოვნური სუნთქვის ჩატარების უნარი;
4. იცის და იყენებს იურიდიულ საშუალებებსა და ექიმის პრაქტიკის ეთიკურ პრინციპებს; ამ ცოდნის წყალობით, შეუძლია სწორი გადაწყვეტილების მიღება ეთიკური კონფლიქტის შემთხვევაში; პრაქტიკის დროს იცავს უნივერსალურ ეთიკურ წესებს ზიანის არ-მიყენების, სარგებლობის, სამართლიანობისა და ავტონომიის შესახებ; პაციენტებს ეპყრობა ნეიტრალურად, ობიექტურად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და აქვს ეთიკური პასუხისმგებლობით განმსჭვალული მიდგომა;
5. ატარებს კონსულტაციას პაციენტთან, ქმნის მის ყოვლისმომცველ და ფოკუსირებულ ისტორიას, ატარებს სრულ და დეტალურ ფიზიკურ გამოკვლევას;
6. დიაგნოზირებისა და მკურნალობისას იყენებს ხშირად გამოყენებულ ოჯახის ექიმთან საჭიროების შემთხვევაში;
7. აქვს ეფექტური კომუნიკაციის უნარი პაციენტებთან, მათ ნათესავებთან და მესამე პირებთან; იზიარებს პრინციპს, რომ პაციენტის ინფორმირება დაავადებისა და მისი მკურნალობის უნდა მოხდეს გასაგებად; ასევე, აცნობიერებს ინფორმირებული თანხმობისა და პაციენტის კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპს;
8. აფასებს პაციენტის დაავადების ფსიქოლოგიურ და სოციალურ ასპექტებს ქცევითი

<p>და სოციალური მეცნიერებების ძირითადი ცოდნის საფუძველზე;</p> <p>9. ინფორმაციასა და ინფორმაციულ ტექნოლოგიას ეფექტურად იყენებს სამედიცინო კონტექსტში; ახდენს ინფორმაციის წყაროების სწორ ინტერპრეტაციას; ახდენს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის დიფერენცირებას; შეუძლია დაგეგმოს და ჩაატაროს ორიგინალური სამეცნიერო კვლევა და შეაფასოს მიღებული მონაცემები; კარგად ფლობს მედიცინაში არსებული ძირითადი კვლევის პროცესს და მიჰყვება დარგის სამეცნიერო და ტექნოლოგიურ განვითარებას;</p> <p>10. განსაზღვრავს რისკებს, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდნენ დაავადების ან დაზიანების მქონე პირები, წინასწარ ახდენს იმ პირების ინდეტიფიცირებას, რომლებიც არიან ამ რისკების ქვეშ ან დაავადების ადრეულ სტადიაზე და იღებს საჭირო ზომებს; აღიარებს, რომ ექიმის უპირველესი პასუხისმგებლობაა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა დაავადების პრევენციისა და მკურნალობის გზით; იღებს თანამშრომლობის პასუხისმგებლობას ჯანდაცვის სფეროში მომუშავე სხვა პირებთან და ორგანიზაციებთან, რათა დაიცვას ცალკეული პიროვნებებისა და საზოგადოების ჯანმრთელობა;</p> <p>11. იყენებს უწყვეტი სწავლების პრინციპებს;</p> <p>12. აჩვენებს პროფესიონალიზმს.</p>
<p>უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ პროგრამას დანართად ახლავს სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების რუკა (მოდულების/კურსების მიხედვით), სადაც ხაზგასმულია სწავლის შედეგების შესაბამისობა, მიღწევდობა და თავსებადობა საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკულ და კლინიკურ კომპონენტებთან. ეს ასახავს სასწავლო კომპონენტების ურთიერთკავშირს სწავლის შედეგ(ებ)თან, ასევე ამ შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ შეფასების კომპონენტებთან და სწავლების მეთოდებთან.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პროგრამის სწავლის შედეგები; ▪ საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ პროგრამის მიზნები; ▪ პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა; ▪ დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი ▪ დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ პროგრამის დაინტერესებული მხარეების ჩართულობას პროგრამის სწავლის შედეგების დაწესებაში; ▪ ვებ-საიტი; ▪ გამოკითხვის შედეგები; ▪ ინტერვიუების შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში</p>

შეფასება

✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილადშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არარისშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს მიზნებისა და დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტებს, რომლებიც ჩაირიცხებიან პროგრამაში, უნდა ჰქონდეთ საშუალო განათლება. საქართველოს მოქალაქეები ირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემის საშუალებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის საფუძველზე. ქართველმა და უცხოელმა მოქალაქეებმა უნდა დაადასტურონ ინგლისური ენის ცოდნა, რაც წარმოადგენს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას. ერთიანი ეროვნული გამოცდის ფარგლებში, ქართველი აბიტურიენტებისთვის ინგლისური ენის ბარიერი ინდივიდუალურად დგინდება თითოეული წლის განმავლობაში (წელს ეს არის 70% უნივერსიტეტის ვებ –

გვერდის მიხედვით). უცხოელმა მოქალაქეებმა უნდა წარმოადგინონ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი მინიმუმ B2 დონეზე ან გაიარონ შიდა ტესტირება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი არიან ზოგადი საშუალო ან უმაღლესი საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამების კურსდამთავრებულები ინგლისურენოვან ქვეყნებში. აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩვენ დავადგინეთ, რომ ინგლისურის ტესტირება ხორციელდება „ბაუ სტამბულის უნივერსიტეტის“ მიერ უზრუნველყოფილი საშუალებებით. აღნიშნულ სასწავლებელს აქვს საერთაშორისო ენების სკოლა და არის „ბაუ ბათუმის უნივერსიტეტის“ პარტნიორი. იმ სტუდენტებს, რომლებსაც არ შეუძლიათ პროგრამაზე სწავლა ინგლისური ენის კომპეტენციისგამო, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს 6 ან 12-თვიან ენის კურსებს. კურსის დამთავრების შემდეგ მათ შეუძლიათ ტესტის ხელმეორედ გავლა.

გარდა ენის გამოცდისა, სტუდენტებს უტარდებათ გასაუბრება, რომლის დროსაც გროვდება ინფორმაცია სტუდენტის კომუნიკაციის უნარების, სწავლის მოტივაციისა და ზოგადი მდგომარეობის შესახებ.

ზემოხსენებული წინაპირობების გარდა, უცხოელი სტუდენტების არჩევისთვის უნივერსიტეტი იყენებს საშუალო სკოლის ნიშნებს. ეს არის მიღებული და ხშირად გამოყენებული პრაქტიკა, თუმცა მომავალში უნივერსიტეტმა შეიძლება განიხილოს მისაღები გამოცდები ძირითად საგნებში უცხოელი აბიტურიენტებისთვისაც. ეს შეიძლება საჭირო იყოს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აბიტურიენტთა რიცხვი მაღალი იქნება - რადგან უნივერსიტეტის მიზანია სტუდენტების რაოდენობის გაზრდა.

ინფორმაცია მიღებისა და წინაპირობების, სასწავლო პროცესისა და გარემოს შესახებ, როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის მოქალაქეებისთვის, მოცემულია დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დოკუმენტში და ხელმისაწვდომია ბაუ ბათუმის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (<http://bauinternational.edu.ge/ge/future-students>). ამდენად, ის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის. გარდა ამისა, აკრედიტაციის ვიზიტის დროს, სტუდენტებმა დადებითად შეაფასეს დაშვების კრიტერიუმები, დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების სიცხადე და გამჭვირვალობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუები თვითშეფასების ჯგუფთან, დეკანთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

გრძელვადიან პერსპექტივაში, უნივერსიტეტმა შეიძლება განიხილოს უცხოელი სტუდენტებისთვის მისაღები ტესტის ჩატარება ძირითად საგანში/საგნებში.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა ცოტა ხნის წინ განახლდა ეროვნული სამიზნე ნიშნულების ახალი მითითებების შესაბამისად. პროგრამა შემუშავდა უნივერსიტეტის პროგრამის განხორციელების წესისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურის შესაბამისად. პროგრამის რეფორმირების მიზნით, უნივერსიტეტმა გამოიყენა სტუდენტებისა და დამსაქმებლების გამოკითხვების მონაცემები, ასევე „ბაუ სტამბულის უნივერსიტეტის“ სამედიცინო ფაკულტეტის პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის შემუშავების ჯგუფმა განაახლა სწავლის შედეგები, რომლებიც მიეწოდა აკადემიურ პერსონალს, დამსაქმებლებსა და პროგრამის საკონსულტაციო საბჭოს შეფასების მიზნით. პროგრამის დოკუმენტების საბოლოო პროექტები მომზადდა ამ ჩართული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე. თითოეული პროგრამის სწავლის შედეგისთვის დადგენილია კონკრეტული სამიზნე ნიშნული, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიღწევების შეფასებისთვის. პროგრამის სტრუქტურის სასწავლო კურსები ამ სამიზნე ნიშნულების მისაღწევად გამოიყენება. პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურია და შესაძლებელს ხდის სწავლის შედეგების მიღწევას.

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა ექვსი სასწავლო წელია და გულისხმობს 360 ECTS კრედიტის დაგროვებას. ერთი კრედიტი უდრის 30 საათს. 22-ზე მეტი ECTS კრედიტი გამოიყოფა ძირითადი კლინიკური უნარების განვითარებისთვის. 20 ECTS კრედიტი ეთმობა კვლევითი უნარების განვითარებას.

პროგრამა ეფუძნება ჰორიზონტალური და სპირალური ინტეგრაციის პრინციპს და აქვს ინტერდისციპლინარული მოდულური სისტემა. თითოეული პირველი ხუთი სემესტრი შედგება ოთხი ინტერდისციპლინარული მოდულისგან (რომელიც ძირითადად ეხება სხეულის სისტემებს) და ლონგიტიდურისემესტრული კურსებისგან. თითოეულ ძირითად სამედიცინო მოდულს აქვს ძირითადი კლინიკური პრაქტიკისთვის გამოყოფილი საათები. ამრიგად, პროგრამას აქვს ვერტიკალური ინტეგრაციის ელემენტები, როდესაც სტუდენტი

იწყებს კლინიკურ ვიზიტებს პირველივე სემესტრიდან. კლინიკური დისციპლინები ისწავლება როტაციების ფორმით. ბოლო წელი ძირითადად კლინიკაში სტაჟირებას ეთმობა. კარგია, რომ პირველადი ჯანდაცვის ტრენინგი ჩართულია ამ სტაჟირებაში. კვლევის უნარ-ჩვევები გამომუშავდება პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში მთელი სასწავლო გეგმის განმავლობაში. კურსები, როგორცაა: აკადემიური წერა, კვლევის მეთოდოლოგია და ბიოსტატისტიკა, კვლევითი პროექტი I და II, არის კურსები, სადაც სტუდენტები იძენენ კვლევების განხორციელების ძირითად უნარებს და მუშაობენ სამეცნიერო პროექტებზე. აკრედიტაციის ვიზიტის დროს, აშკარად გამოჩნდა სტუდენტების მუშაობა კლინიკურ შემთხვევებზე ადრეული ეტაპიდანვე, ასევე მათი მონაწილეობა სამეცნიერო საქმიანობებში.

პროგრამა გამოყოფს დიდი მოცულობის აკრედიტებს უცხოელი სტუდენტებისთვის ქართული ენის შესასწავლად. ქართველ სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ ინგლისური ან გერმანული ენის კურსები. პროგრამაში მოცემულია არჩევითი კურსები, ჯამში - 33 ECTS კრედიტი, სხვადასხვა სემესტრში. ამ კურსების დიდი უმრავლესობა სამედიცინო სფეროს განეკუთვნება. უნივერსიტეტი იყენებს სტუდენტთა სამედიცინო პორტფოლიოს, რომელიც მთელი სასწავლო პერიოდის განმავლობაში მუშავდება და გამოიყენება, როგორც უწყვეტი სწავლისა და პროფესიონალიზმის მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტი.

მთლიანობაში, სასწავლო გეგმის ინტეგრაციას შეიძლება ეწოდოს „ჰიბრიდული“, რაც გულისხმობს სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა ელემენტების ჩართვას და ინტეგრაციის სხვადასხვა ეტაპს. სტუდენტები სწავლობენ სხეულის ნორმალურ და ანომალურ სტრუქტურას / ფუნქციონირებას, რაც დაფუძნებულია სისტემებზე ცალკეული მოდულების მიხედვით. პრობლემაზე დაფუძნებული და შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლის (PBL და CBL) მეთოდები გამოიყენება ძირითადი დისციპლინების ინტეგრაციის გასაძლიერებლად. კლინიკური დანართების სწავლება ხდება პირველი სასწავლო წლის დასაწყისიდანვე, ხოლო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა - შემდგომი ეტაპის სემესტრებში. შეიძლება ითქვას, რომ ეს პროგრამა „ინტეგრაციის კიბეზე“ მოთავსებულია „კორელაციისა“ და „მულტიდისციპლინურ“ საფეხურებს შორის.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- თვითშეფასების ანგარიში
 - დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა და სწავლის შედეგები
 - სწავლის შედეგების რუკა
 - კურსის სილაბუსები
 - აკრედიტაციის ვიზიტისას ჩატარებული გასაუბრებები დეკანთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. უფრო მეტიც, ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამას აქვს ორი სახის კურსი: ინტეგრირებული მოდულები და ერთი დისციპლინის კურსები. პროგრამის ყველა კომპონენტის სასწავლო პროგრამას აქვს სწავლის შედეგების რუკა, როგორც დანართი. ამ ფორმატში სასწავლო კურსის სპეციფიკური შედეგები სტრუქტურირებულია სამ სხვადასხვა დარგში (ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა) და ნაჩვენებია მათი კავშირი სწავლების ფორმატთან/მეთოდებთან და შეფასების მეთოდებთან. გარდა ამისა, მოცემულია სასწავლო კურსის სწავლის შედეგების კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებთან (დარგის სპეციფიკური ან ზოგადი). ეს ფორმატი კარგი საშუალებაა პროგრამის კომპონენტების სტრუქტურირებისა და შედეგების მიღწევების გაზომვისთვის.

თითოეული კურსისთვის კრედიტების რაოდენობა ინდივიდუალურია და ადეკვატურად შეესაბამება დისციპლინის დატვირთვას. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება ზოგადად ლოგიკურია. სილაბუსები ინფორმაციული ხასიათისაა და მოიცავს დეტალებს კურსის მიზნების, სასწავლო ფორმატის, სწავლებისა და შეფასების მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების, სწავლებისთვის საჭირო რესურსების და სასწავლო კურსების თემების აღწერის შესახებ. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია უახლეს მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, სილაბუსებში დაფიქსირდა რამდენიმე ორთოგრაფიული შეცდომა.

უცნაურია, რომ 5-კრედიტიანი და 3-კრედიტიანი კლინიკური კურსები 2-2 კვირის განმავლობაში ისწავლება. საჭიროა სტუდენტის დატვირთვის ხელახალი შეფასება და საკონტაქტო საათების გაანგარიშება. საჭიროა კონკრეტული კლინიკური კურსების, მაგალითად, „ოტორინოლარინგოლოგიის“ დატვირთვის გადახედვა. რამდენად შესაძლებელია 90 საკონტაქტო საათის, 3 საკრედიტო კურსის მხოლოდ ერთ კვირაში ჩატევა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აღნიშნულია, რომ 6 დღის განმავლობაში სტუდენტები უნდა დაესწრონ ლექციებს 15 საათის განმავლობაში, სემინარები აქვთ 8 საათი, 18 საათი - სწავლება კლინიკურ გარემოში (TCE) და 3 საათი - გამოცდები. იგივე

მდგომარეობა კლინიკურ კურსში „ოფთალმოლოგია“, სადაც კიდევ უფრო მეტი ლექციაა (22 საათი) ერთ კვირაში, რასაც ემატება სემინარები, პრაქტიკული კვლევები და გამოცდები. ინტეგრირებული მოდულის ზოგიერთ სასწავლო გეგმაში (ძირითადად, პირველ წელს) არ არის ნათლად განსაზღვრული დისციპლინებს შორის თემების ინტეგრირება და კურსის სათაური არ არის ზუსტი. ეს ასევე განხილული იქნა აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებისას და რამდენიმე მაგალითიც აღინიშნა. აკადემიურ პერსონალს ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება ჰქონდა, თუმცა, ჩვენი რჩევით, კარგი იქნება ამ საკითხის გაუმჯობესება.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- თვითშეფასების ანგარიში
 - დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის კურსის სილაბუსი
 - ინტერვიუები აკრედიტაციის ვიზიტისას: დეკანთან/პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

- რეკომენდაციები:**
- გადაიხედოს ზოგიერთი კურსის სათაური.
 - მოხდეს თემების უკეთ სინქრონიზაცია კონკრეტულ სილაბუსებში.
 - მოხდეს სტუდენტის სამუშაო დატვირთვის ხელახალი შეფასება და საკონტაქტო საათების გაანგარიშება.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში**
- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ ჩართვას კვლევით პროექტებში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს სამეცნიერო კვლევითი უნარების (LO #9) განვითარებას, პრაქტიკულ უნარებს (მაგ. LO #6) და ტრანსფერულ უნარებს (ზოგადი სწავლის შედეგებს). სასწავლო გეგმა მოიცავს კვლევაზე ორიენტირებულ რამდენიმე კურსს, რომელიც ეძღვნება კვლევის მეთოდებს, პროექტის განხორციელებასა და წერას. სტუდენტმა სწავლის დასრულების შემდეგ უნდა შეასრულოს ინდივიდუალური კვლევითი სამუშაო. კვლევაზე ორიენტირებული კურსების საერთო მოცულობა შეადგენს 20 ECTS კრედიტს. უნივერსიტეტს აქვს ძალიან კარგად აშენებული და აღჭურვილი რამდენიმე ლაბორატორია (ჰისტოლოგიის, მიკრობიოლოგიის, მოლეკულური ბიოლოგიის და ა.შ., რომლებშიც არის ბევრი ხარისხიანი მიკროსკოპი, ინკუბატორი, საყინულე, ლამინირებული ქუდები, ცენტრიფუგები და ა.შ.) და ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა, სადაც მათ აქვთ წვდმა მაღალი ხარისხის სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე პარტნიორი - სტამბოლის უნივერსიტეტის ანგარიშის მეშვეობით. პრაქტიკული ლაბორატორიული სამუშაოები ნაწილდება სხვადასხვა ძირითად დისციპლინას შორის (მაგ., ჰისტოლოგია, იმუნოლოგია და ა.შ.). აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩვენ ვნახეთ კლინიკური ლაბორატორიები, სადაც სტუდენტები ასევე მონაწილეობდნენ პრაქტიკულ / კვლევით საქმიანობაში. მე-5 კურსის სტუდენტმა უკვე გამოაქვეყნა ერთი ნაშრომი, ხოლო ორმა სტუდენტმა მოიპოვა მეორე ადგილის პრიზი სტუდენტთა საერთაშორისო კვლევითკონფერენციაზე. უნივერსიტეტს აქვს შიდა სამეცნიერო გრანტი აკადემიური პერსონალისთვის, რაც ხელს უწყობს დაწესებულებაში კვლევითი პროექტების ინიცირებას.

რექტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნა კვლევის ის სფეროები, რომლებშიც მუშაობს უნივერსიტეტი. ძირითადად ესაა ფარმაკო-გენეტიკა, ღეროვანი უჯრედები და პერსონალიზებული მედიცინა. არსებობს სამედიცინო კვლევის განვითარებული დარგები და ეს გარკვეულწილად მოუტანს ცნობადობას დაწესებულებას, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ შეიძლება სტუდენტები ჩაერთონ კონკრეტულ პროექტებში. ამიტომ, ჩვენი რჩევაა, რომ სტუდენტებისთვის პრიორიტეტი მიენიჭოს ძირითად კვლევას.

ანატომიის სესიებს აქვს პრაქტიკული გაკვეთილები გვამის გამოყენებით. ახლახან უნივერსიტეტმა შემოიტანა გვამი და დაიწყო მისი გამოყენება სასწავლო პროცესში. ჩვენ ვნახეთ ნაწილობრივ გაკვეთილი გვამი აკრედიტაციის ვიზიტის დროს.

კლინიკური როტაციებისას დროის დაახლოებით ნახევარი დაეთმობა პრაქტიკულ მუშაობას კლინიკურ დისციპლინებში, თუმცა პროგრამა ითვალისწინებს კლინიკური პრაქტიკის წელს (კლინიკურ სტაჟირებებს) მე-11 და მე-12 სემესტრებში, სადაც ყველა ძირითადი კლინიკური დისციპლინაა დაფარული და დრო მთლიანად ეძღვნება პრაქტიკას კლინიკურ გარემოში.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა ორიენტირებულია უწყვეტი სწავლის, პროფესიონალიზმისა და სხვა მნიშვნელოვანი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. ეს ასახულია სწავლებისა და შეფასების მეთოდებში, მაგალითად, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და ჟურნალის კლუბით. სტუდენტები მუშაობენ სამედიცინო პორტფოლიოსთან, რომელიც სამედიცინო კომპეტენციებს შორის მიზნად ისახავს სტუდენტთა უწყვეტი სწავლის (LLL) და პიროვნული განვითარების შეფასებას. პორტფოლიო ახლახანს დაინერგა, ამიტომ ვერ დავინახეთ გრძელვადიანი შედეგები, თუმცა ის შეიძლება სასარგებლო ინსტრუმენტი იყოს მნიშვნელოვანი ტრანსფერული კომპეტენციების სტიმულირებისა და შეფასებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

<ul style="list-style-type: none"> ▪ თვითშეფასების ანგარიში ▪ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა ▪ კურსის სილაბუსები ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ▪ ინტერვიუები აკრედიტაციის ვიზიტისას რექტორთან, დეკანთან/პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): - გამოყენებული იქნეს გვამი ანატომიის პრაქტიკული მეცადინეობების დროს.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
<p>შეფასება</p> <p>✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/>მეტწილადშესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/>ნაწილობრივშესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/>არშესაბამებამოთხოვნებს</p>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ბაუ ბათუმის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს სწავლებისა და სწავლის ფართო სპექტრს. ყველა ინდივიდუალურ სასწავლო სილაბუსს აქვს სასწავლო შედეგების რუკა, სადაც ნაჩვენებია კავშირი შედეგს, სწავლების მეთოდსა და შეფასების მეთოდს შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ცხადყოფს, რომელი სწავლების მეთოდებს შეუძლია ხელი შეუწყოს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას შემდეგი მიმართულებებით: ცოდნა, უნარები და ავტონომია და პასუხისმგებლობები. ეს ფორმატი საშუალებას იძლევა შეფასდეს სწავლების მეთოდოლოგიის შესაბამისობა სასწავლო შედეგებთან.</p> <p>კურსის სილაბუსების უმეტესობა აჩვენებს სწავლების შემდეგ ფორმატებს: 'ლექციები', 'სემინარები', 'სწავლება კლინიკურ გარემოში' (რეალურიპაციენტისსცენარის კლინიკური კომპონენტებისთვის) და 'სწავლება სიმულაციურ გარემოში' (პრაქტიკული კომპონენტები გვამთან ან სიმულაციური სცენარით). კლინიკური სწავლებისთვის ჩვენ მოვინახულეთ ბათუმში რამდენიმე აფილირებული საავადმყოფო. კლინიკური საქმიანობის ძირითადი ბაზაა მულტიპროფილური საავადმყოფო „მედინა“, რომელიც მდებარეობს იმავე კამპუსში, სადაც უნივერსიტეტი. კლინიკური როტაციები განაწილებულია სხვადასხვა კლინიკაში</p>

და ძირითადად უკავშირდება მასწავლებლებს, რომლებიც იქ მუშაობენ. პრაქტიკული სწავლებისთვის ჩვენ ვნახეთ გვამების ლაბორატორია, სადაც იყო ერთი გვამი და კარგი საშუალებები გაკვეთისა და დემონსტრირებისთვის. პედაგოგი, რომელიც გვამთან მუშაობს, დატრენინგებული იყო თურქეთში. ის უნივერსიტეტმა დაასაქმა სპეციალურად პრაქტიკული კურსის განვითარების მიზნით. ასევე დავათვალიერეთ შემდეგი სპეციალობებისთვის განკუთვნილი კეთილმოწყობილი ლაბორატორიები: ჰისტოლოგია, ბიოქიმია, მიკრობიოლოგია და პათოლოგია (სლაიდები). აქვე იყო კლინიკური გამოკვლევისა და უნარებისთვის განკუთვნილი რამდენიმე მოდელი. შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება ემყარება პრობლემაზე დაფუძნებულ და შემთხვევაზე დაფუძნებულ (PBL და CBL) მეთოდებს, რაც ითვალისწინებს ინდივიდუალურ და გუნდურ აქტივობებს სემინარების ფარგლებში. ჩვენ შევიტყვეთ, რომ ცოტა ხნის წინ პერსონალმა ტრენინგი გაიარა პრობლემაზე დაფუძნებულ (PBL) სწავლებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა
- კურსის სილაბუსები
- დაკვრივები აკრედიტაციის ვიზიტის დროს
- აკრედიტაციის ვიზიტისას ჩატარებული გასაუბრებები აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- ბიბლიოთეკა უნდა მოიცავდეს ყველა წიგნს, რომელიც მითითებულია, როგორც სავალდებულო ლიტერატურა.
- პათოლოგიის ლაბორატორია უნდა შეიცავდეს მაკრო ნიმუშებს (პათოლოგიური ნაწილები ქილებში და არა მხოლოდ სლაიდები).

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შესაბამისაა მოქმედ კანონმდებლობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტთა შეფასება ემყარება 100 ქულიან სისტემას. შუალედური შეფასებისთვის 60 ქულა გამოიყოფა, ხოლო საბოლოო გამოცდისთვის - 40 ქულა. შუალედური შეფასების მეთოდებია: წერილობითი გამოცდა, MCQ, ლაბორატორიული სამუშაო, PBL, CBL,

პრეზენტაცია, Mini-CEX, DOPS. ეს მეთოდები უკავშირდება სხვადასხვა სფეროს სწავლის შედეგების შეფასებას. საბოლოო გამოცდისთვის გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორცაა: ზეპირი გამოცდა, OSCE-ს გამოცდა, პროექტი, წერილობითი გამოცდა. სილაბუსების უმეტესობაში მუშაულებდურ და საბოლოო შეფასებებს აქვთ ინდივიდუალური გადასალახი ზღვარი. სტუდენტთა მიმდინარე პროგრესის შეფასებისთვის გამოიყენება სამედიცინო პორტფოლიო (განხორციელდა მხოლოდ მიმდინარე სემესტრში), რომელსაც იყენებენ არა მხოლოდ შეფასებისთვის, არამედ სტუდენტებისთვის სპეციფიკური უკუკავშირისა და მენტორობისთვისაც. მისი მიზანია შეაფასოს სტუდენტების მიღწევები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, შემდეგი კომპეტენციების მიხედვით: სამედიცინო ექსპერტიზა, პაციენტის მოვლა, კომუნიკაცია, პროფესიონალური დამოკიდებულებები. სტუდენტები შეფასდებიან მრავალი წყაროს (360) (მასწავლებელი, პაციენტი, ექთანი) საშუალებით. პორტფოლიო შეიძლება იყოს პროგრამის ძალიან წარმატებული ინსტრუმენტი, მაგრამ უნივერსიტეტი მას ასრულებს ქაღალდზე, რაც ძალიან რთული გახდება სტუდენტების რაოდენობის გაზრდის შემდეგ.

უნივერსიტეტს აქვს ელექტრონული გამოცდის დარბაზი რამდენიმე კომპიუტერული დისკითა (>30) და ინტეგრირებული პერსონალური კომპიუტერით. ისინი დაცული იყო უნიკალური საშუალებით, რამაც ჩვენზე შთამბეჭდილება მოახდინა. ამ საგამოცდო ცენტრში გამოიყენება წერილობითი გამოცდები და MCQ. ზეპირი გამოცდები გამოიყენება ინტეგრირებული მოდულების დასკვნითი გამოცდისთვის. OSCE-ს გამოცდა გამოიყენება ძირითად კლინიკურ საგნებში. ჩვენ ვნახეთ OSCE-ს 10 კარგად მომზადებული საგამოცდო ობიექტი. ჩვენ ასევე გავარკვიეთ, რომ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი უკვე მომზადებულია OSCE-ს გამოცდის დაგეგმვასა და მენეჯმენტში.

ვიზიტის დროს ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ სტუდენტების შეფასების ელექტრონული სისტემა არ მუშაობს სწორად, ინტეგრირებულ საგნებთან დაკავშირებული სირთულის გამო. ეს არის რთული საკითხი და, როგორც ჩანს, ამჟამად მოგვარებულია, თუმცა უნივერსიტეტმა უნდა ჩადოს ინვესტიცია საჭირო ელექტრონული სისტემის შესაქმნელად უახლოეს მომავალში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ის მიზნად ისახავს სტუდენტების რაოდენობის გაზრდას.

შეფასების კრიტერიუმები კარგად არის აღწერილი სასწავლო კურსების სილაბუსებში. ისინი ძირითადად ადეკვატური, გამჭვირვალე და კანონის შესაბამისია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა
- კურსის სილაბუსები
- დაკვრივებები აკრედიტაციის ვიზიტის დროს
- აკრედიტაციის ვიზიტისას ჩატარებული გასაუბრებები აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> - კარგი იქნება გარე გამომცდელთა გამოყენება კონკრეტულ გამოცდებში/ შეფასებებში. - მნიშვნელოვანია, დროთა განმავლობაში უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ელექტრონული სისტემა სამედიცინო პორტფოლიოსთვის. - რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სტუდენტთა შეფასების უკეთესი ელექტრონული სისტემა.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში</p>
<p>შეფასება</p> <p>√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატურ შეფასების ობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; პროგრამის პერსონალი ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას აღნიშნული სერვისების შესახებ, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების

გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინფორმაცია მიღების, სასწავლო პროცესისა და გარემოს შესახებ ხელმისაწვდომია ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: (<http://bauinternational.edu.ge/en/future-students>). სტუდენტს შეუძლია მიიღოს კონსულტაცია და მხარდაჭერა სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასა და კარიერის განვითარებასთან დაკავშირებით. აკადემიური / სამეცნიერო / მოწვეული / ადმინისტრაციული / დამხმარე პერსონალის დატვირთვა მოიცავს სტუდენტთა საკონსულტაციო საათებს.

თითოეული სტუდენტი უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის პერსონალური ელექტრონული ფოსტის მისამართით, სადაც იღებს ინფორმაციას საგანმანათლებლო, ასევე უნივერსიტეტში დაგეგმილი კულტურული ღონისძიებებისა და სხვა აქტივობების შესახებ. სემესტრის დასაწყისში სტუდენტებს ეძლევათ ზოგადი სემესტრული გრაფიკი, ხოლო უფრო დეტალური კვირის გრაფიკი მიეწოდებათ ახალი კვირის დაწყებამდე. ბევრი მოწვეული ლექტორი თბილისში ცხოვრობს და აქვთ საშუალება კვირაში ერთხელ ეწვიონ ბათუმს. ამ ფაქტის გათვალისწინებით, საგნებისთვის გამოყოფილი სასწავლო საათების თანაბრად განაწილების მაგივრად, სტუდენტებს ხანდახან უწევთ ერთი და იმავე საგანზე დღისგანმავლობაში 8 საათი დასწრება.

სტუდენტები კმაყოფილი არიან ინფორმაციის ხელმისაწვდომობითა და მხარდაჭერი სერვისებით. უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტთა კულტურულ და რელიგიურ განსხვავებულობას და პატივს ცემს მათ, რაც გამოიხატება სამლოცველო ოთახების არსებობით, რელიგიური დღესასწაულების დროს გათვალისწინებული განრიგითა და სასწავლო გარემოთი, რასაც ხაზი გაესვა გასაუბრების დროს.

სტუდენტები დარწმუნებული არიან, რომ მათ აზროს ითვალისწინებენ და პატივს ცემენ, რასაც ადასტურებს ადმინისტრაციის ქმედება სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

- ქალაქის ცენტრიდან დაშორებული ადგილმდებარეობის გამო, უნივერსიტეტი სტუდენტებს უზრუნველყოფს უფასო ტრანსპორტირებით უნივერსიტეტამდე და უნივერსიტეტიდან.
- უნივერსიტეტი დახმარებას უწევს პირველკურსელებს ბინის მოძებნაში (უგზავნის მათ გასაქირავებელი ბინების ვარიანტებს საქართველოში ჩამოსვლამდე).
- უნივერსიტეტი ცვლის ლექტორებს, როდესაც სტუდენტთა პრეტენზიები კეთილგონიერია.
- უნივერსიტეტს ცვლილებები შეაქვს სწავლების მეთოდოლოგიაში, როდესაც სტუდენტთა პრეტენზიები კეთილგონიერია.

ვინაიდან „ბაუ-ბათუმი“ „ბაუ-გლობალის“ ქსელის წევრია, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევით გრანტებში. მათ, აგრეთვე, შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში; თუმცა, გასაუბრების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ მხოლოდ რამდენიმე ლექცია ქონდათ თურქ

პროფესორებთან. მათი სურვილია გაიზარდოს საერთაშორისო ჩართულობა სწავლების კუთხით და ამასთანავე სხვა ქვეყნების გამოცდილებათა გაზიარების გზით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაგეგმილი და დასრულებული სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები;
- სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების მიმწოდებელ პირთა სამუშაო დატვირთვა, ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სამუშაოთა აღწერილობანი;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- ბაუ-ბათუმში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

- საჭიროა მიეთითოს (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე), თუ რა პოზიციებზე შეუძლიათ კურსდამთავრებულებს მუშაობა სწავლის დასრულების შემდეგ.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის გაუმჯობესების საჭიროება;
- საერთაშორისო აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობის გაზრდის საჭიროება;
- თვით-შეფასების ჯგუფში სტუდენტთა ჩართვის საჭიროება;
- თანაბრად გადანაწილებული სასწავლო საათების საჭიროება.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ შეესაბამება მოთხოვნებს

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არ არსებობს, რადგან ამ პროგრამას არ გააჩნია სადოქტორო საფეხური.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არშესაბამებამოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამებამოთხოვნებს
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ პროგრამის მდგრადობას, მის ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას და დაგეგმილი მიზნების მიღწევას.

<p>4.1 ადამიანური რესურსები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში სტუდენტთა დასახმარებლად საჭირო კომპეტენციები; ➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➤ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა

- და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაუ-ს პერსონალი ჩართულია პროგრამაში არსებული კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. ბაუ-ბათუმის მედიცინის ერთ-საფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ქართველი და უცხოელი მაღალი აკადემიური კვალიფიკაციისა და ფართო კლინიკური და პედაგოგიური გამოცდილების მქონე პერსონალი. უსდ-ს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის მარეგულაბელი დოკუმენტი, რომელიც, ასევე, სქემატურად ასახავს აკადემიური პერსონალის პედაგოგიურ, სამეცნიერო მუშაობას და აკადემიური პერსონალის სხვა საქმიანობებს.

პროგრამას ახორციელებს პერსონალის 16 წევრი, მათგან 2 პროფესორია, 5- ასოცირებული პროფესორი, 5- ასისტენტ-პროფესორი და 4 ასისტენტი. ამასთან ერთად, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 67 მოწვეული პროფესორი. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (ადგილობრივი და თბილისიდან მოწვეული ლექტორები) პედაგოგები არიან, ამგვარად სასწავლო პროცესის წარმართვა ხდება მათი თავისუფალი დროის მიხედვით, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, გულისხმობს 8-საათიან ლექციებს ერთი დღის განმავლობაში.

უნივერსიტეტს ამჟამად ცოტა სტუდენტი ყავს და მხოლოდ რამდენიმე მათგანია კლინიკურ როტაციაზე, თუმცა, მიუხედავად ამისა, სტუდენტების ცხრილი არ ემთხვევა სილაბუსში მითითებულ კვირის ცხრილს ლექტორების ნაკლებობის გამო. სტუდენტთა რიცხვის ზრდის შემთხვევაში არსებული ლექტორების რაოდენობა და მათი დატვირთვა სხვა უნივერსიტეტებში საფრთხეს შეუქმნის პროგრამის მდგრადობას.

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დადასტურებულია ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, რაც ნათელყოფს პერსონალის კომპეტენტურობას შესაბამის სფეროში. აკადემიურ პოზიციაზე დანიშნულ ყველა ლექტორს გააჩნია დოქტორის აკადემიური ხარისხი და გამოცდილება სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. კლინიკური საგანმანათლებლო დისციპლინების მთავარი პერსონალს აქვს დარგობრივი კომპეტენციით განსაზღვრული მუდმივი კლინიკური პრაქტიკა. მოწვეული პედაგოგების გამოცდილება დასტურდება შესაბამისი ცოდნით, გამოცდილებითა და კომპეტენციით, რაც საჭიროა სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად; თუმცა, იყო შემთხვევები, როცა ლექტორების კვალიფიკაცია მაინცდამაინც არ შეესაბამებოდა საგანს, რომელსაც ისინი ასწავლიდნენ. ჩვენ გულდასმით შევისწავლეთ მოწოდებული ადამიანური რესურსების სია და ლექტორებთან გასაუბრების დროს დავადგინეთ, რომ მათი გვარი მითითებული იყო ისეთ საგანში, რომელზეც მათ წარმოდგენაც არ ქონდათ (მაგ: კურსი- შინაგანი მედიცინა).

უნივერსიტეტი მხარს უჭერს და თანა-დაფინანსებას უწევს სამეცნიერო მივლინებებს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულებებში ევროპასა და აზიაში; მხარს უჭერს სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებას სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში, სთავაზობს საუნივერსიტეტო დაფინანსების შესაძლებლობებს აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო პროექტებისათვის; თანა-დაფინანსებას უწევს მოხსენებებს/პრეზენტაციებს საერთაშორისო კონფერენციებზე.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- სამუშაო აღწერილობები;
 - საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
 - პერსონალის პირადი საქმეები;
 - უსდ-ში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
 - ბიუჯეტი
 - გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები: უსდ-მ უნდა წარმოადგინოს პერსონალის დატვირთვის სქემა.

- რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:**
- საჭიროა ლექტორების და მათ მიერ წასაკითხი კურსების უფრო აკურატული შერჩევა;
 - საჭიროა სამომავლო კურსების განხილვა მოწვეულ ლექტორებთან, სანამ მათ სახელს შეიტანთ ადამიანური რესურსების სიაში.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არშესაბამებამოთხოვნებს

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
 უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და რამდენიმე ლექტორი გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა ბაუს უნივერსიტეტში, თურქეთში. პერსონალმა გაიარა OSCE-ს და სწავლების სხვადასხვა მეთოდოლოგიებში გადამზადება. BAU ბათუმი ატარებს და აქტიურად იყენებს პროგრამის პერსონალის შეფასებასა და

გამოკითხვას კმაყოფილების დასადგენად. შეფასება გულისხმობს მათ პედაგოგიურ მოღვაწეობას, სწავლების სტილის მრავალფეროვნებას და კვლევით მუშაობას. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და გათვალისწინებულია პერსონალის დაწინაურების და ხელშეწყობის დროს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ჩართულობის გასაძლიერებლად სამეცნიერო და კვლევით მუშაობაში და მათი მონაწილეობისთვის საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის შეფასების შედეგები, აგრეთვე პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები (კვლევისა და სწავლების ხარისხის, საერთაშორისო მობილობის მონაცემების ჩათვლით და ა.შ.) და მათი გამოყენება პერსონალის მართვისა და განვითარებისათვის;
- პერსონალის სტატისტიკური მონაცემები;
- გამოკითხვის შედეგები;
- სამეცნიერო და კვლევითი მუშაობის ხელშეწყობის მექანიზმები;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არშესაბამებამოთხოვნებს

4.3. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

BAU საერთაშორისო უნივერსიტეტში ძირითადი საგნები ისწავლება მთავარ, ახლად გარემონტებულ კორპუსში, რომელშიც განთავსებულია კეთილმოწყობილი სალექციო დარბაზები, კომპიუტერული კლასები, ლაბორატორიები, სიმულაციური ცენტრი, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციული პერსონალის ოთახები.

ბიბლიოთეკას აქვს საკმარისი სივრცე და კომფორტული სასწავლო გარემო ყველა სტუდენტისათვის და ასევე გააჩნია საკმარისი ბეჭდური და ელექტრონული რესურსები პროგრამაში მითითებული ძირითადი ლიტერატურისთვის.

ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით და რეაგენტებით, მაღალი ხარისხის მიკროსკოპით, თითოეულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ინდივიდუალურად იმუშაოს და ჩაატაროს ექსპერიმენტები, არსებობს მიკროსკოპისთვის მშრალი ნიმუშის ფართო არჩევანი, როგორც ნორმის ნიმუშებით, ასევე პათოლოგიით.

სიმულაციის ცენტრი აღჭურვილია სხვადასხვა ანატომიური მოდელებით და სიმულატორებით (გვამით).

კლინიკური საგნების თეორიული ნაწილი ისწავლება მთავარ შენობაში, ხოლო პრაქტიკული ნაწილი სხვადასხვა აფილირებულ საავადმყოფოებში ხორციელდება, რომლებთანაც BAU ბათუმს აქვს კავშირი.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ბიბლიოთეკა, მატერიალური და ტექნიკური რესურსები;
 - ტექნიკური აღჭურვილობა - სტუდენტთა რაოდენობის თანაფარდობა;
 - ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და საბიბლიოთეკო რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
 - ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია პროგრამაში მითითებული ძირითადი ლიტერატურა;
 - გამოკითხვის შედეგები;
 - გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არშესაბამებამოთხოვნებს

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაუ ბათუმი საერთაშორისო უნივერსიტეტი ახორციელებს მხოლოდ ერთ პროგრამას-მედიცინის ერთ-საფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას. შესაბამისად, ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილი სრულად შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

უნივერსიტეტის შემოსავლის ძირითადი წყაროა სტუდენტების სწავლის საფასური, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსება, გრძელვადიანი ვალდებულებები / სესხები BAU Global- ის შვილობილი კომპანიის მიმართ. შეთანხმების მიხედვით, ბაუ ბათუმი სესხის გადახდას იწყებს მხოლოდ 2023 წელს, რაც საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს, სრულად გამოიყენოს შემოსავალი უნივერსიტეტის კეთილდღეობისა და განვითარებისთვის. სესხის თანხის ნაწილი დაიხარჯა ახალი კორპუსის ასაშენებლად და ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.

2019-2024 წლების ბიუჯეტი შეიცავს 1181000 ლარს ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის; ძირითადად, სიმულაციური ცენტრის აღსაჭურვად მეტი სიმულატორებით, ანატომიური მოდელებით, მულაჟებით, გვამებითდაასევე, ბიბლიოთეკისა და ლაბორატორიებისთვის მეტი საგანმანათლებლო რესურსების შესაძენად. 669000 ლარი გათვალისწინებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლებისა და ტრენინგისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაფინანსების წყაროები;
- ბიუჯეტი;
- პროგრამის / ფაკულტეტის / სკოლის ბიუჯეტი;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილადშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არშესაბამებამოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად პროგრამა იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმებს და ასევე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და მიმოხილვას. რეგულარულად ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხი

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების შედეგების ანალიზის დროს. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი მხოლოდ ერთ პროგრამას ახორციელებს (მედიცინის ერთ-საფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა), ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ფოკუსირებულია მხოლოდ მედიცინის პროგრამის ხარისხის მართვაზე. ზემოთხსენებული დეპარტამენტი ახორციელებს პერიოდულ გამოკითხვებს და გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე წარმართავს საჭირო ღონისძიებებს. ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება „დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე“ პრინციპს.

გასაუბრების დროს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა აქტიური ჩართულობა გამოავლინა. მას ახალი ასისტენტი ახლდა. ჩანს, რომ ის საკმაოდ გამოცდილია და მოწადინებულია ხარისხის გასაუმჯობესებლად.

აღმოჩნდა, რომ სამედიცინო სკოლა ახალ ადგილზე რამდენიმე თვის წინ გადავიდა (2019 წლის ნოემბერი) და ახლა ის აფილირებულია ახლოს მდებარე საავადმყოფოსთან. პირადად ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა ფაქტმა, რომ მათ ახალ ლოკაციაზე დაფუძნება შეძლეს მცირე დროში, გადასვლასა და აკრედიტაციის ვიზიტს შორის მოკლე პერიოდში. ახალი მდებარეობა საკმაოდ კარგია, გააჩნია კამპუსი თავისუფალი სივრცითა და ბაღებით, რომელსაც აქვს პოტენციური ნებისმიერი სახის შემდგომი გაფართოებისთვის. მას, ასევე, გააჩნია მედიცინის საბაკალავრო პროგრამისთვის საჭირო შენობა-ნაგებობები. შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართული პერსონალი, როგორც ჩანს მართავს სიტუაციას,

<p>მათ დაგეგმეს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი, შექმნეს შეფასების ინსტრუმენტები და გააანალიზეს შეფასების შედეგები.</p> <p>სტუდენტთა ცხრილი არ ამთხვევა სილაბუსში აღწერილ კვირის დატვირთვას ლექტორთა სიმცირის გამო. სტუდენტთა რიცხვის ზრდის შემთხვევაში არსებული ლექტორების რაოდენობა და მათი დატვირთვა სხვა უნივერსიტეტებში საფრთხეს შეუქმნის პროგრამის მდგრადობას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ თვითშეფასების ანგარიში ▪ პროგრამის მიზნები ▪ ვებ-საიტი ▪ გასაუბრებების შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>გამოცდის გადაბარების წესი შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი არსებულ კანონმდებლობასთან.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p>✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არშესაბამებამოთხოვნებს</p>

<p>5.1 გარე ხარისხი</p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>გარე ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აკრედიტაციის სტანდარტებისა და გეგმის შესაბამისად, ასევე ბაუ-საერთაშორისო-თურქეთის უშუალო ჩართულობით და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ თვითშეფასების ანგარიში

<ul style="list-style-type: none"> ▪ ვებ-საიტი ▪ გასაუბრებების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
ჩვენი რჩევაა მოიწვიოთ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამოცდილი აკადემიური პერსონალი, როგორც გარე ხარისხის უზრუნველმყოფი ორგანო.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ შესაბამებამოთხოვნებს</p>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
<p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატიურად შეგროვებისა და გაანალიზების გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>გასაუბრებების დროს იგრძნობოდა ჰარმონია და გუნდური მუშაობა როგორც აკადემიურ, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს შორის. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა ტარდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობით.</p> <p>თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ასევე დასაქმებულია სხვა უნივერსიტეტებში, ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ ისინი მუდმივად აზიარებენ კარგი პრაქტიკის მაგალითებს და უნივერსიტეტი პოულობს მისი განხორციელების გზას სამედიცინო პროგრამაში. ასეთი პრაქტიკის კარგი მაგალითია გვამების ჩართვა/გამოყენება სწავლების პროცესში. უნივერსიტეტმა შეძლო მთავრობის მარეგულირებელი კანონის შეცვლა და უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა გვამის გაკვეთაზე დაფუძნებული სწავლების მოდელი.</p> <p>ასევე, ლექტორებისა და სტუდენტების რეკომენდაციით, ქართული ენის სწავლებისთვის გამოყოფილი საკონტაქტო საათები გაიზარდა.</p>

მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> ▪ თვითშეფასების ანგარიში ▪ პროგრამის მიზნები ▪ ვებ-საიტი ▪ გასაუბრებების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი

1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: “მედიცინის” (ინგლისურენოვანი) სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა

ანგარიშის გვერდების რაოდენობა: 32

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადია; ისინი შესაბამისობაშია უსდ-ს მისიასთან და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება	√			
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

პროფესორი მაჰმუდ ჰაფეზი,



ექსპერტთა ჯგუფის წევრის სახელი, გვარი, ხელმოწერა

პროფ. ხათუნა საგანელიძე

პროფ. ივანე აბიათარი

ქ-ნი მარიამ აბულაძე